გილოცავთ ახალ წელს, მეგობრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალი გამარჯვებები 1965-ში! ნახ. გ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 1 (2621) ● პარასკევი, 1 იანვარი, 1965 წ. ● ფასი 8 კაპ.

საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ახალი წელი საბჭოთა ხალხს.

— 1964 წელი, — ნათქვამია მიმართვაში, — შრომით ვახტს ამთავრებს. საბჭოთა ადამიანები ამ წელს აცილებენ იმ გრძნობით გამსჭვალულნი, რომ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა და კანონიერად ამაყობენ ამით. ეს იყო ჩვენი საზოგადოების წარმატებით განვითარების წელი, სიძნელეთა დაძლევისათვის შეუპოვარი ბრძოლის წელი, ეს იყო წელი მილიონობით მშრომელის შესანიშნავი მიღწევებისა მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის კომუნისტურ მშენებლობებზე, წელი დიდი მიღწევებისა დედამიწაზე და კოსმოსში, წარმოებაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

ახალი წელი სწრაფად მოაბიჯებს საბჭოთა კავშირის თვალუწვდენ სივრცეებზე. და ჩვენ ვეუბნებით მას: „კეთილი იყოს შენი მობრძანება!“

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ და გულითადად ულოცავენ ქარხნებისა და ფაბრიკების მშრომელებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრის მშრომელებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, მთელ ჩვენს სახალხო ინტელიგენციას, ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების მებრძოლებსა და მეთაურებს, ჩვენს შესანიშნავ საბჭოთა ქალებს, ჩვენს პატივცემულ რევოლუციური ბრძოლისა და შრომის ვეტერანებს და ჩვენს ცვლას — მგზნებარე, მამაც საბჭოთა ახალგაზრდობას, — გილოცავენ ყველას, ძვირფასო მეგობრებო, ახალ წელს!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, კაცობრიობის მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლს!

დიდება ჩვენს ლენინურ პარტიას — საბჭოთა ხალხის მებრძოლ ავანგარდს!

გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ახალ ბედნიერებას, ძვირფასო ამხანაგებო!

რა მოგაქვს?

— კარები გამიღეთ!
— გამიღეთ კარები!
ხმა მისი დილის ჰანგს ჩამოგავს...
— კარები ღიაა,
ღიაა კარები,
რა მოგაქვს?
— ნატვრა თვით გულთა და თვალთა.
— კეთილი,
მობრძანდი, მზით ნაელვარები
ჩამოიბერტყე კალთა!
აკაფე ქალ-ვაჟთა ჯანსაღი სხეული,
უსწრაფეს ასფრთიან ქარზე,
რომ ყველა რჩეული — ოლიმპოს წვეული
ემატოს უძლეველ დასებს
და მათი დიდება საზღაპროდ ქცეული
ცხატოს ოქროვან თასებს!
თავთავთა სიმძიმემ ფხა წელში დახაროს,
ატმები ღუოდნენ ტევრში,
რიყრაყმა ძეობა ყოველ ჭერს ახაროს,
მაყრიონს — ქორწილთა ეშხი,
აყვავდეს კორტოხი და მიწაც აყალო
დაიწვას ყაყაჩოს თქეშში.
ნამიან ბალახზე აფენდე პურ-მარილს
სამოყვროდ გადაშლილ გზაზე
და ელეთ-მელეთში შფოთიან
ჭურ-მარნის
ჯიქნები დაასკდეთ ვაზებს,
ჩხა აკიდოებად შეეკრას გულდაგულ
შოლტივით მოქნეულ თასმებს!

კოსმოსი კვლავ გახსნის მკერდს საკვირველებად,
რაკეტა იქროლებს მზისწილ,
ვარსკვლავთა დაისი და დღეთა თენება
ბაგეზე შეიშროშს სიცილს.
და რაც ადამიანს ოდითგან ენება
ანაზდად ქედს დახრის მის წინ!..

გოგოლა მზარელუა

უკანასკნელი საათის!

◆ კოლორადო-სპრინგსი (აშშ), 31 დეკემბერი. ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის მორიგ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა კანადის ეროვნული გუნდი — 7 : 5.

◆ კიევი, 31 დეკემბერი. სსრ კავშირის XXXII საჭადრაკო ჩემპიონატზე დღეს გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ბრონშტეინმა მოუგო ლუტიკოვს, ლიავდანსკიმ — ბანიკს, შამკოვიჩმა — ლიავდანსკის, ტალმა — ვასიუკოვს. ყაიმით დამთავრდა პარტიები: ბრონშტეინი — კროგიუსი, სუეტინი — ავერბახი, კროგიუსი — ხოლმოვი, პეტროსიანი — ბანიკი. გუშინ, IV ტურში, კორჩნოიმ დაამარცხა გოლდენოვი, ხოლო ხოლმოვ — სუეტინის და ავერბახ — შტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

◆ ლონდონი, 31 დეკემბერი. ბრიტანეთის კუნძულების წინასადღესასწაულო ამინდი კარგად „მოქმედებს“ იუგოსლაველ დიდოსტატ ს. გლიგორიჩზე. იგი უკვე სამჯერ გამოვიდა გამარჯვებული ჰასტინგსის ტრადიციულ საშობაო ტურნირებში და ამჯერადაც ერთპიროვნული ლიდერია 3 ტურის შემდეგ. მესამე გამარჯვება მან მოიპოვა ბრაზილიის ჩემპიონ ა. რომასთან შეხვედრაში. მისმა უახლოესმა მეტოქეებმა — საბჭოთა დიდოსტატმა პ. კერესმა და რუმინეთის ჩემპიონმა ფ. გეორგიუმ III ტურში ერთმანეთში გაიყვეს ქულა და 2,5-2,5 ქულით II-III-IV ადგილებზე არიან. ამდენივე ქულა აქვს ხ. პფლეგერს (გფრ), რომელმაც მოუგო მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს. ზედიზედ მეორე დამარცხებამ ნონა გადასწია აუტსაიდერთა ჯგუფში, რომელთაც 0,5 ქულა აქვთ. ესენი არიან რომა, ინგლისელები ნ. ლიტლვუდი, პ. ლი და დ. ჰარდლი. ამ ჯგუფს გაუსწრო ტურნირის ერთ-ერთმა მასპინძელმა — ო. პინდლმა, რომელსაც 2 ქულა აქვს.

ყველაზე პოპულარული...

„ვინ არის ყველაზე პოპულარული სპორტსმენი საქართველოში 1964 წელს“? ასეთი შეკითხვით მიმართა ჩვენი გაზეთის რედაქცია თავის მკითხველებს.

„ლელოს“ საახალწლო კონკურსი მიზნად არ ისახავს რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენთა ვინაობის დადგენას, ვინაიდან მკითხველთა ნაწილი ასეთი საკითხის გადაწყვეტაში ნაკლებად კომპეტენტურია. ამიტომ კონკურსის საშუალებით ირკვევა ამა თუ იმ სპორტსმენის არა სიძლიერის, არამედ პოპულარობის ხარისხი.

რედაქციაში უამრავი წერილი შემოვიდა, რომელთა გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ყველაზე პოპულარული სპორტსმენია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი სლავა მეტრეველი.

აი, როგორ გამოიყურება ათეული:

1. ს. მეტრეველი (ფეხბურთი) — 4545 ქულა.
2. მ. მესხი (ფეხბურთი) — 2968 ქულა.
3. ნ. გაფრინდაშვილი (ჭადრაკი) — 2715 ქულა.
4. ნ. ასათიანი (ფარიკაობა) — 1887 ქულა.
5. ჯ. ცერცვაძე (ხელბურთი) — 1738 ქულა.
6. რ. რურუა (ჭიდაობა) — 1717 ქულა.
7. გ. სალარაძე (ჭიდაობა) — 1682 ქულა.
8. შ. ქველიაშვილი (სროლა) — 1529 ქულა.
9. გ. სიჭინავა (ფეხბურთი) — 1456 ქულა.
10. ჯ. აბაიშვილი (ხელბურთი) — 1396 ქულა.

მომდევნო ადგილებზე არიან: შ. იამანიძე (ფეხბურთი), ვ. კაჭარავა (ფრენბურთი), ვ. ბარქაია (ფეხბურთი), რ. შავლაყაძე (მძლეოსნობა), ა. მეტრეველი (ჩოგბურთი), ა. კიკნაძე (ჭიდაობა), ლ. მოსეშვილი (ცალათბურთი), ი. დათუნაშვილი (ფეხბურთი), ნ. ალექსანდრია (ჭადრაკი), ს. კოტრიკაძე (ფეხბურთი).

ს. მეტრეველი

მ. მესხი

ნ. გაფრინდაშვილი

ნ. ასათიანი

ჯ. ცერცვაძე

რ. რურუა

გ. სალარაძე

შ. ქველიაშვილი

გ. სიჭინავა

ჯ. აბაიშვილი

გ. სიხარულიძე

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

გამარჯვებათა

1964 წელი ყველაზე უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის. ამას მკაფიოდ ადასტურებენ ციფრები და ფაქტები. ამის შესახებ მჭევრმეტყველურად ჰყვებიან ქართველ სპორტსმენთა მიერ საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზებზე მოხვეჭილი გამარჯვებანი.

900 ათასზე მეტი კაცია დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ჩაბმული ინტენსიურ ფიზკულტურულ ცხოვრებაში. ეს მთელი მოსახლეობის 21 პროცენტს შეადგენს. განვლილი წლის წვლილი ამ მიღწევაში 110 ათას კაცს უდრის. საერთო ფიზიკური მომზადების, ნადირობის, თევზჭერის და ტურიზმის სექციებში, ჯანმრთელობის ჯგუფებსა და საწარმოო ტანვარჯიშში გაერთიანებულთა რიცხვი კი რესპუბლიკის მოსახლეობის 25 პროცენტს მიუახლოვდა.

მაგრამ განვლილმა წელმა მხოლოდ ფიზკულტურელთა რიცხვის მასობრივი ზრდა როდი მოგვიტანა. მან გაგვახარა აგრეთვე ახალაღზრდილ სპორტსმენთა შესანიშნავი მარქაფით: კიდევ 326 ოსტატი შეემატა საქართველოს სპორტულ ოჯახს; კიდევ 2315 პირველთანრიგოსანი შეუერთდა ჩვენი ხვალინდელი ოსტატების მდიდარ არმიას; 100 ათასზე მეტი სხვა თანრიგის მქონე სპორტსმენი ჩადგა მომავლის რეკორდებისა და ჩემპიონთა ტიტულებისთვის მებრძოლთა რიგებში. დაუმატეთ ამას 120 ათასამდე ფიზკულტურელიც, რომლებმაც შარშან მშთ ნორმატივები ჩააბარეს, 27 ათასი საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრიც, რომლებიც ამავე პერიოდში დამატებით ჩაებნენ ჩვენი მოღვაწეობის სხვადასხვა უბანზე, და თქვენთვის ცხადი გახდება, თუ რა გიგანტური ნაბიჯით გაიჭრა წინ 1964 წელს რესპუბლიკის სპორტული ცხოვრება.

და მაინც, ეს ყველაფერი კიდევ არ იძლევა ჩვენი ტრიუმფის სრულ სურათს, თუ არ გადავშლით მთელ რიგ სხვა ბრწყინვალე გამარჯვებათა ნუსხას. „სპორტული 1964“ ისტორიის კუთვნილება გახდა, უპირველეს ყოვლისა, XVIII ოლიმპიადის მეოხებით. ამ გრანდიოზულ ფორუმში საქართველოდან ჩვენი ქვეყნის ნაკრებ გუნდებში მყოფი 18 სპორტსმენი მონაწილეობდა და მათ მიერ მხოლოდ პირად ჩათვლაში დაგროვებული 37 ქულა იმდენივე აღმოჩნდა, რამდენიც მოიხვეჭეს ინდოეთის, ავსტრიის, ბრაზილიის, მექსიკის, ნორვეგიის, ჩილისა და პერუს სპორტულმა დელეგაციებმა ერთად! გაითვალისწინეთ ის ქულებიც, რომლებიც ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს ფეხბურთელთა, მოფარიკავეთა და კალათბურთელთა გუნდების შემადგენლობაში და ჩვენი ოლიმპიელების წვლილი საერთო გამარჯვებაში კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება. ტოკიოში განსაკუთრებით ამაყად, მაღლა ატარეს ჩვენი სპორტული დიდების დროშა ოლიმპიადის ჩემპიონებმა ნუგზარ ასათიანმა და ვაჟა კაჭარავამ, აგრეთვე რომან რურუამ, გურამ საღარაძემ, შოთა ქველიაშვილმა, ანზორ კიკნაძემ, ალექსანდრე ტუტკაევმა და სხვ.

ქართველი სპორტსმენები [illegible]ვაც გავიდნენ გასულ წელს საერთაშორისო ასპარეზზე. მათ 84 შეხვედრა ჩაატარეს საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან სპორტის 13 სახეობაში და 70-ჯერ ძლევამოსილად დატოვეს ასპარეზი. საერთაშორისო გამარჯვებათა მატიანეში ახალი ფურცლები ჩაწერეს ფეხბურთელებმა, კალათბურთელებმა, ხელბურთელებმა, მოჭიდავეებმა, მთამსვლელებმა, წყალბურთელებმა, ჩოგბურთელებმა, მსროლელებმა, მოჭადრაკეებმა და ა. შ.

საკავშირო ასპარეზზე ჯერ არასდროს მოგვიხვეჭია იმდენი ნადავლი, როგორც გასულ წელს. თავად განსაჯეთ: 1963 წელს სსრ კავშირის მხოლოდ 10 ჩემპიონი გვყავდა, 1964-ში კი — 41! ეს მხოლოდ ჩემპიონები; მათ გარდა კი მზიური საქართველოს

ჩემი ყველაზე ბედნიერი დღე 1964 წელს

შოთა ქველიაშვილი,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ის დღე იყო, როცა ტოკიოს ოლიმპიადიდან დაბრუნებულს მშობლიური სიყვარულით შემეგება ჩემი უნივერსიტეტი. გახარებული ტოლ-მეგობრები, ამაგდარი მასწავლებლები დარწმუნებული ყოფილან ჩემს ძალებში და აი, ახლა ვერცხლის მედლის მოპოვება მომილოცეს.

უდიდესი ბედნიერებაა გაამართლო შენი გულშემატკივრების იმედები.

●

ალექსანდრე მეტრეველი,

სპორტის ოსტატი.

ყველაზე ბედნიერი წუთები მაშინ განვიცადე, როცა გალეას თასისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი შეხვედრა მოვიგე და სსრ კავშირის ნაკრებს გამარჯვება გავუნაღდე. მრავალი წლის უშედეგო ბრძოლა ამ საპატიო ნადავლისთვის 1964 წელს როგორც იქნა ჩვენს სასარგებლოდ დაგვირგვინდა.

ღირსეულად დაფასდნენ

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით **საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭათ: სამბოში** — ბ. მაზიაშვილს, ნ. ნინიაშვილს (ორივენი — თბილისიდან); **ქართულ ჭიდაობაში** — ს. ბახტაძეს (თბილისი); **მძლეოსნობაში** — ვ. ვდოვინს (თბილისი), ა. კერსელიანს (სოხუმი); **ტყვიით სროლაში** — მ. რომანენკოს (თბილისი); **ფარიკაობაში** — ვ. ქოჩიაშვილს (თბილისი); **კალათბურთში** — თ. გეგელაშვილს, ს. ოგანეზოვს (ორივენი — თბილისიდან); **ფეხბურთში** — გ. გაგუას, ა. კიკნაძეს, თ. კუბლაშვილს, მ. მინაევს, დ. ცომაიას (ყველანი — თბილისიდან), ა. ელიავას (ბათუმი), გ. ოდიშარიას (ცხაკაია), რ. შარტავას (გაგრა).



ამ სურათზე შოთა იამანიძის მრავალმხრივ გამარჯვებათა „საიდუმლო შტაბია“ აღბეჭდილი — ის პაწია გარემო, საიდანაც იღებს სათავეს თბილისის „დინამოს“ კაპიტნის გატაცებული სიყვარული ცხოვრებისა და ბრძოლისადმი, მისი მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, მისი ღრმა და სერიოზული ინტერესები, მისი დიდი პატრიოტული თავდადება მშობლიური სპორტული კოლექტივის წარმატებებისათვის...

ამ სურათზე, უბრალოდ, მისი მეუღლე და პატარა გოგონაა აღბეჭდილი მასთან ერთად — მისი ოჯახი, რომელსაც მრავალ ახალ წელს უნდა დაეკვეთოს სიხარული და ბედნიერება. დაეკვეთოს ისევე, როგორც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეთაურმა შეიტანა, კოლექტივთან ერთად, აურაცხელი სიხარული და გამარჯვებით გამოწვეული ბედნიერება უამრავი გულშემატკივრის ოჯახებში.

ფოტო სპორტის ოსტატ ბ. კამენსკისა.

ჩემი ყველაზე ბედნიერი დღე 1964 წელს

შოთა იამანიძე, სპორტის ოსტატი.

რომელი დღე იყო ყველაზე ბედნიერი ჩემთვის 1964 წელს? მიკვირს, რომ ამ კითხვით მომმართავენ მე, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთ წევრს.

შეიძლება სხვა სპორტსმენი ჩაფიქრდეს და გონების თვალით გადაფურცლოს გასული წლის კალენდარი, აირჩიოს მათს შორის რამდენიმე იღბლიანი დღე და შემდეგ რომელიმე მათგანს მიაკუთვნოს უპირატესობა. საქმე მარტო ამა თუ იმ გამარჯვებაში არაა. ყოველ კეთილ დღეს თავისი განუმეორებელი თავისებურება აქვს.

მე და ჩემს მეგობრებს, აწ უკვე სსრ კავშირის ჩემპიონებს, ასარჩევი არა გვაქვს რა: ჩვენი საერთო სიხარულისა და ბედნიერების დღეა 18 ნოემბერი, ტაშკენტი...

ქართული ფეხბურთის თაობები ქმნიდნენ ამ დიდ გამარჯვებას და იბრძოდნენ მისი მოპოვებისათვის, ხოლო მისი აღსრულება წილად გვხვდა ჩვენ, ე. წ. მესამე თაობის ფეხბურთელებს. მოხარული ვართ, რომ შევასრულეთ ეს ძნელი მისია!

ის ბედნიერი დღე არასოდეს დამავიწყდება: 18 ნოემბერი, 18 ნოემბერი, 18 ნოემბერი...

„რუსული ზამთარი“

ასე დაერქმევა შეჯიბრებას საავტომობილო რალიში, რომელიც პირველად ჩატარდება სსრ კავშირში წელს. ამ ღია საერთაშორისო ასპარეზობაზე მოიწვევენ ეროვნული კლუბებისა და ავტოკავშირების, საავტომობილო ფირმებისა და ქარხნების გუნდებს, აგრეთვე ცალკეულ ეკიპაჟებს.

რალი „რუსული ზამთარი“ მოიცავს 2 ეტაპს. 5 მარტს მონაწილენი ჩამოვლენ მოსკოვში ორი მარშრუტით: ბრესტი — მინსკი — მოსკოვი და ვიბორგი — ლენინგრადი — მოსკოვი, ხოლო 6 მარტს მოსკოვის ცენტრალურ იპოდრომზე სტარტი მიეცემა რალის, რომლის დისტანცია შეადგენს დაახლოებით 1.800 კილომეტრს.

ზამთრის რთულ გზებზე სპორტსმენებს შეხვდებათ სხვადასხვა დამატებითი შეჯიბრება: რბოლა სისწრაფეზე, სლალომი (ფიგურული მართვა) და სხვ. დისტანციის მრავალი მონაკვეთის გავლა საჭირო გახდება ღამით.

სსრ კავშირის ავტოსპორტის ფედერაციამ დააწესა პრიზები ავტომობილისტთა ამ ახალი ზამთრის შეჯიბრების გამარჯვებულთათვის. რალი „რუსული ზამთარი“ ტრადიციად იქცევა.

ჩემი ყველაზე ბედნიერი დღე 1964 წელს

ჯემალ აბაიშვილი,

სპორტის ოსტატი.

სიხარულისა და ბედნიერების წუთები 1964 წელს მრავლად განვიცადე: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება, მსოფლიოს ხელბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრა, სსრ კავშირის ჩემპიონის დაკარგული ტიტულის დაბრუნება და, რაც მთავარია, ქართული ფეხბურთის მრავალი წლის ნანატრი გამარჯვება.

●

ალა ივანოვა,

სპორტის ოსტატი.

ი. ერმოლოვასთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაში ვერცხლის მედლის მოპოვება შარშან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. ახალი წლის მიჯნაზე მეორე სიხარული მომანიჭა იმან, რომ შემიყვანეს სსრ კავშირის საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულებში — მოზრდილთა შორის მე-9 ნომრად, ხოლო იუნიორთა შორის — სიის სათავეში.

ნანა ალექსანდრიას

იავ, — ნანა,
ვარდო, — ნანა,
პაწაწინა ცირა,
მიხარია, ვდარდობ განა?
თავს გევლები მცინარს.
აბა როგორ? —
ვერ დავფარავ
ამ სიხარულს გულში,
შენ არ იყო, დედოფალას
თამაშობდი გუშინ?
ახლა გხედავ
მამაც მხედარს,
და უფრო მეტს გეტყვი,
გამარჯვების შესახვედრად
მიჰქრის შენი ეტლი.
კვალში მისდევს ასი მზერა
საჭადრაკო გვირგვინს,
მაგრამ ვიცით, გულით გვჯერა,
მოვა შენი რიგიც.
მიხარია, ვდარდობ განა?
განა ხალისს ვმალავ? —
იავ-ნანა,
ვარდო-ნანა,
ჩვენო დედოფალა!

ჯანსუღ ჩარკვიანი

საქართველოს საუკეთესო სპორტსმენები

რესპუბლიკის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ანკეტა

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ 1964 წლის შედეგების მიხედვით რესპუბლიკის 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლინებლად მოაწყო ანკეტა.

გამოკითხვის შედეგად საქართველოს სხვადასხვა ქალაქის 40-მა ჟურნალისტმა ჩვენი რესპუბლიკის **საუკეთესო სპორტსმენად ცნო თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. მეტრეველი.** მან მოაგროვა 242 ქულა, ამასთან 12 სიაში იყო დასახელებული პირველ ნომრად.

თუ გამარჯვებულს, როგორც იტყვიან, მეტოქეობა ვერავინ გაუწია, II ადგილისთვის გაჩაღდა „შეუპოვარი“ ბრძოლა. II ადგილი ხვდა **მსოფლიო და სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს — 176 ქულა.**

მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩა მას ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნ. ასათიანი**, მაგრამ მან თავის მეტოქეს აჯობა ანკეტებში პირველი ადგილების რაოდენობით — ექვსი ოთხის წინააღმდეგ.

უძლიერესთა სიაში შემდგომი ადგილები დაიკავეს ფეხბურთელმა **მ. მესხმა**, მსროლელმა **შ. ქველიაშვილმა**, მოჭიდავეებმა **რ. რურუამ** და **გ. საღარაძემ**, ფეხბურთელებმა **გ. სიჭინავამ, შ. იამანიძემ** და ხელბურთელმა **ჯ. ცერცვაძემ.**

ასეთი ანკეტა 1964 წელს პირველად მოეწყო. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციამ გადაწყვიტა, ამიერიდან ყოველწლიურად გამოავლინოს რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები.

ახალი მიჯნა

წარმომადგენლებმა კიდევ ვერცხლის 10 და ბრინჯაოს 15 მედალი მოიპოვეს; სულ — 66 მედალი!

აი, ამ სწორუპოვარი გამარჯვების ავტორებიც: მოჭიდავეები — ზ. ბერიაშვილი, გ. სალარაძე, შ. ლომიძე, ნ. გოგიბედაშვილი, ო. ეგაძე, რ. რურუა, დ. გვანცელაძე, ა. კიკნაძე, ველოსიპედისტი ო. ფხაკაძე, წყალში მხტომელი ბ. პოლულიახი, მსროლელი შ. ქველიაშვილი, მძლეოსანი რ. შავლაყაძე, მოჭადრაკე ნ. გაფრინდაშვილი, მთამსვლელები მ. ხერგიანი-უფროსი, მ. ხერგიანი-უმცროსი, შ. მარგიანი, გ. წერედიანი, ჯ. კახიანი და ჯ. გუგავა, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები და „ბურევესტნიკის“ ხელბურთელები.

განსაკუთრებით გვახარებს ფეხბურთელთა წარმატება, რამდენადაც 1964 წელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა პირველი დიდი ტრიუმფის — საკავშირო ფეხბურთის ოლიმპის დაპყრობის თარიღად!

ყოველივე ამან — ამ მძლავრად გაშლილმა ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ, იმ ჩინებულმა წარმატებებმა შეადუღაბეს სპორტული საქართველოს ერთი დიდი და მთლიანი, მეტად სასახელო გამარჯვება; რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა ახალი წლისთვის შესრულებულია გადაჭარბებით და ვადაზე ადრე — 6 წელიწადში!

როგორც ცნობილია, საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები 5 წელია ინარჩუნებენ სსრკ სპორტკავშირის გარდამავალ წითელ დროშას. იმედია, 1964 წლის მაჩვენებლები კვლავაც შეუნარჩუნებს მათ ამ საპატიო დროშას და კიდევ უფრო აამაღლებს ქართული სპორტის ავტორიტეტს. ასეთივე წარმატების საფუძველი შექმნეს თავიანთი ცენტრალური საბჭოების მასშტაბებით რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებებმა „კოლმეურნემ“, „დინამომ“, „განთიადმა“, აგრეთვე „სპარტაკმა“ და „შრომითმა რეზერვებმა“.

მაგრამ ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, თითქო ჩვენს მუშაობაში ყველაფერი წესრიგზეა და არ გაგვაჩნია ნაკლოვანებანი. 1967 წელს, სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე საქართველოს დელეგაცია მხოლოდ სპორტის ოსტატებით უნდა წარდგეს. ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები კი ე. წ. დაგეგმილ სახეობებში ჯერ კიდევ ვერ ზრდიან მაღალკვალიფიციურ სპორტსმენებს. განსაკუთრებით ჩამორჩება ჩვენში მძლეოსნობა, წყალში ხტომა, თანამედროვე ხუთჭიდი, ცხენოსნობა, სროლა, ცურვა. სავალალოდ დავთმეთ მოწინავე პოზიციები კალათბურთში, ტანვარჯიშსა და ველოსპორტში.

გადაუდებელ ამოცანად დგას სპორტული ბაზების მშენებლობა და ამ მხრივ 1965-1966 წლებში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, კერძოდ, ბაკურიანსა და ლესელიძეში, რაც საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების სპორტსმენებს დაეხმარება წარმატებით მოემზადონ მეხიკოს XIX ოლიმპიადისათვის. საბრძოლო ამოცანად დგას აგრეთვე მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განუხრელი ზრდა და ყველა პირობის შექმნა იმისათვის, რომ რესპუბლიკის სპორტსმენები კვლავაც ძლევამოსილად წარდგნენ როგორც სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაზე, ისე XIX ოლიმპიურ ასპარეზობაზე, რომ მომავალში მათ კიდევ უფრო ამრავლონ მოპოვებული გამარჯვებები.

ეჭვი არ არის, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დახმარებით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მხარდამხარ, საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები წარმატებით გაართმევენ თავს ამ მაღალ, კეთილშობილურ მისიას!

ახალ, სპორტულ 1965 წელს ვულოცავთ რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს, ფედერაციებსა და საზოგადოებრივ კადრებს, ფიზკულტურელებს, სპორტსმენებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, ფიზაღზრდის მასწავლებლებს — მთელს სპორტულ საზოგადოებრიობას და ვუსურვებთ ახალ წარმატებებს სასახელო საქმიანობაში, ჩვენი სამშობლოს სადიდებლად!

ჩემი გეგმები 1965 წელს

გურამ კოსტავა,

სსრ კავშირის ჩემპიონი,
XVIII ოლიმპიადის პრიზიორი,
სპორტის ოსტატი.

ჩვეულებრივ, მომავლის გეგმები წარსულის მიღწევათა საფუძველზე დგება. ამ „მონაცემებით“ თუ ვიმსჯელებთ, 1965 წელს ძალიან ძნელი ამოცანები მაქვს გადასაწყვეტი: შარშან ხომ სსრ კავშირის ჩემპიონი გავხდი, ხოლო ტოკიოში ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე! მაშასადამე „მონაცემები“ მავალდებულებენ შევინარჩუნო უძლიერესის წოდება საბჭოთა კავშირში და ბრინჯაოზე მეტს მივაღწიო მსოფლიო ჩემპიონატზე.

საშინლად თავსატეხი მდგომარეობაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაშიც და საერთაშორისო ასპარეზზეც არაერთი ბრწყინვალე „დ' არტანიანი“ იბრძვის დაშნით ხელში. მაგრამ მე მაინც ვეცდები ვიყო უძლიერესთა რიგებში როგორც ერთი, ისე მეორე მასშტაბით.

●

ნანი ჟუმბაძე,

სპორტის ოსტატი.

ბევრი ვეცადე მომეპოვებინა ტოკიოს საგზური, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი გაიტანა — ოლიმპიადის მიღმა დავრჩი. წარუმატებლობით გული ოდნავადაც არ გამტეხია, — სრულიად ახალგაზრდა ვარ და ჩემი მომავალი ჩემს ხელთაა.

ახალ სეზონში ცურვაში წინ ბევრი შეჯიბრებაა, მიზანი კი ერთადერთი მაქვს — გავხდე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი და უფრო მეტად ვასახელო საქართველო.

მიხეილ ხერგიანი უშბაზე



— პატივცემულო მიხეილ, ერთი ჩამოირბინეთ ოქროს მისაღებად.

მეგობრული შარჟი
რ. გაბრიაძისა.

მუშკეტერი

●

ნარკვევი

●

ტრიალებენ ლოგინში და ოცნებობენ: „ეჰ, რა იქნება, რომ ხვალ ჩემპიონად გამეღვიძებოდეს!“

ტკბილი ოცნებაა. თუმცა ცხოვრებაში როდი ხდება ასე. და რა კარგია, რომ ჩემპიონი არ არის სოკო, ჟუჟუნა წვიმის შემდეგ რომ გააკეთებს „სიცოცხლის განაცხადს“.

ჩემპიონის ბედი სხვანაირად წყდება. სამშაბათ დილით, წვიმის შემდეგ, ყველა გაზეთში გამოქვეყნებულია, ვთქვათ, ოლიმპიური თამაშების ახალი ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის პორტრეტი.

მაგრამ მანამდე...

* * *

ნუგზარ ასათიანმა ფარიკაობის სექციაში სიარული ჯერ კიდევ სკოლაში, 1952 წელს დაიწყო. მოდიოდა დარბაზში მუდამ თავის დროზე, არ ხმაურობდა, იყო წყნარი და შეუმჩნეველი, მეცადინეობასაც იშვიათად აცდენდა. მაგრამ რაც არ უნდა შეუმჩნეველი იყო, ბოლოს და ბოლოს, ვინმე ხომ მაინც მოგაქცევს ყურადღებას და თავის შთაბეჭდილებას გამოთქვამს?! ფარიკაობის მცოდნეთა პატარა იმპროვიზებულმა კონსილიუმმა გამოთქვა აზრი, რომ ნუგზარი არ მიეკუთვნება იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც შეუძლიათ მოფარიკავეები გახდნენ.

— არავითარი მონაცემები არ გააჩნია, — ამბობდნენ ისინი, ხოლო ყველაზე გულჩვილი მწვრთნელები იმასაც კი ურჩევდნენ, სხვა საქმისთვის მოეკიდა ხელი.

და რარიგ უცნაურად ჟღერს ის ამბავი, რომ მაშინ არც ტყუოდნენ ისინი. უფრო მეტიც. ნუგზარ ასათიანს ჯეროდა ეს, გულწრფელად ეთანხმებოდა მათ და... მაინც განაგრძობდა მეცადინეობაზე სიარულს. იგი წინანდებურად დროზე დადიოდა მეცადინეობაზე, თავი მშვიდად და შეუმჩნევლად ეჭირა, გაკვეთილებსაც იშვიათად თუ გააცდენდა. არ ხმაურობდა.

„სოკომ“ 1955 წელს მოისურვა ამოსვლა. ნ. ასათიანი I ადგილს ისაკუთრებს ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის პირველობაზე და შემდეგ საქართველოს ვაჟთა ნაკრებ გუნდში შეყავთ. მაგრამ კვლავ იწყება წარუმატებლობათა გალა; ერთი წელი, მეორე, მესამე... გამარჯვებები არ არის და არა. თუ კი ვინმეს ჯეროდა ნუგზარის, ეს მისი მწვრთნელი ტრიფონ მესხი იყო. დანარჩენები კი კვლავ იმ აზრისა იყვნენ, რომ ნუგზარი ფარიკაობისთვის დაბადებული არ არისო. წარმატება 1955 წელს, მათი აზრით, შეჯიბრებაში ვარსკვლავთა ბედნიერ განლაგებას მიეწერება.

— ჯერ კიდევ დროა ხელი მოკიდო სხვა სპორტს, ფარიკაობა არ არის შენი სახეობა, — ამბობენ ყველაზე მეტად გულჩვილები.

ნ. ასათიანი თვითონ გრძნობს ამას, გულწრფელად ეთანხმება მათ და... საღამოობით კვლავ დადის ვარჯიშზე. წინანდებურად დროზე მოდის, წინანდებურად თავი თავმდაბლურად უჭირავს და წინანდებურად ექვს-ექვს საათს ვარჯიშობს. არ ხმაურობს.

ამ ისტორიის ბოლო თქვენ კარგად იცით: 1959 წელს სსრ კავშირის პირველობის ფინალი 1960 წელს ნუგზარი სსრ კავშირის თასის მფლობელია. 1961 წელს იგი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ხდება. 1962 წელს კვლავ სსრ კავშირის თასის მფლობელია და ბოლოს, სამშაბათ დილით, წვიმის შემდეგ ნ. ასათიანი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ჩემპიონის კვარცხლბეკზე ადის. განვლილია გზა სიგრძით „12 წელი“. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს გზა იოლად სავალი იყო. იგი ხან რწმენის უქონლობის ჯურღმულებში მიიკლაკნებოდა, უფსკრულში იძირებოდა, ხანაც დამარცხებათა ღრანტეებზე იხლართებოდა, მაგრამ დაუღალავად მიიწევდა წინ, სულ წინ და... მიაღწია!

* * *

ჯერ კიდევ ბევრი გამარჯვებაა მომავალში, მაგრამ შემდეგ, როცა წლები თავისას გაიტანს და სპორტული ჩემოდანი კარადის უკან შეინახება, როცა სავარძლის უკან დაისვენებს ესპადრონიც, ნუგზარ ასათიანთან დარჩება ნებისყოფა და სიჯიუტე, რომლის გარეშე შეუძლებელია ღირსეულად იცხოვრო.

და ეს ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ნ. ასათიანის ყველაზე დიდ გამარჯვებად?

* * *

ტოკიოს შემდეგ, ალბათ კანტიკუნტად, მაგრამ მაინც ვინმე იგონებს თავის ძველ აზრს და ნუგზარი გულწრფელად ეთანხმება მას; წინანდებურად დროზე დადის ვარჯიშზე, წინანდებურად თავი თავმდაბლურად და შეუმჩნევლად უჭირავს, წინანდებურად ექვს-ექვს საათს მეცადინეობს. არ უყვარს ხმაური...

* * *

თბილისის წინასაახალწლო ღამე. ჩვენ ეს-ეს არის ვისაუბრეთ ნუგზართან და მასზე დასაწერად მივდიოდით. ხუმრობით წარმოვიდგინეთ იმპროვიზებული სურათი: წარმოვიდგინეთ, რომ ნუგზარი პარიზშია (ჰო, მართლა, ნუგზარი მომავალ ზაფხულს პარიზს მიემგზავრება, მსოფლიო პირველობაზე), მიაბიჯებს დ' არტანიანისა და ვერაგი კარდინალ რიშელიეს დროინდელი საფრანგეთის დედაქალაქის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში. ასათიანს მიეჩქარება მარან „წითელ მამალში“, სადაც მისი მეგობრები, დედოფლის მუშკეტერები შევალიე, დ' არტანიანი, ათოსი, პორთოსი და არამისი ხვდებიან ახალ წელს.

აი, უკვე ჟღერს მუშკეტერთა სიმღერა. ნუგზარი აღებს კარს და გახარებული მუშკეტერები აყვირდებიან:

— ნუგზარი მოვიდა! — გაიძახის ათოსი.

— ნუგზარს ვაშა! — გაიძახის არამისი.

— ვაშა! — გაიძახის პორთოსი.

— სალამი მადამ ბონასიესაგან! — გაიძახის დ' არტანიანი.

მეგობრები ასწევენ ბურგუნდიული ღვინით სავსე სასმისებს და ნუგზარი ეუბნება თავის მეგობარ პორთოსს.

— შენ უკვე შესანსლე გოჭი?!

იმიტომ, რომ პორთოსი დიდი ღორმუცელაა.

და ისინი ქეიფობენ გათენებამდე და ხელს ვინ შეუშლის მათ. ვინ გაბედავს დუელში გამოიწვიოს ასეთი მოფარიკავეები — დ' არტანიანი, ათოსი, პორთოსი, არამისი და. მით უმეტეს, ნუგზარი— აჰ, ამას ვერავინ გაბედავს!

ეს მხიარული, სახუმარო სცენა ადვილად წარმოვიდგინეთ, რადგან ნუგზარი მხიარული და ჯიუტი ბიჭია, ზუსტად ისეთია, როგორიც „სამი მუშკეტერის“ ახალგაზრდა გმირები და მისი ესპადრონიც ხომ ელვასავით ელავს.

ა. გოგელია,
რ. გაბრიაძე.

როგორ გადის 4... გოლი?

ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი ვ. ნეიძე (თბილისი), ისევე როგორც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ასიათასობით სხვა გულშემატკივარი, აღაფრთოვანა ჩვენების გამარჯვებამ საკავშირო ჩემპიონატში. საჭადრაკო კომპოზიტორმა თავის „ენაზე“ გამოთქვა სიხარული და საინტერესო ამოცანა შექმნა.



შამათი 4 სვლაში.

ავტორი შენიშნავს, რომ თეთრების 4 სვლა შეესაბამება დინამოელთა მიერ ტაშკენტში გატანილ 4 გოლს.

გულშემატკივრის ქარაგმული სურვილი

თბილისის დინამოელებს წელსაც აელოთ ოქროს მედლები და ჩემპიონების სადღეგრძელო თასით ხელში შეგვესვას.

გ. ბახტაძე

სპორტულ სამყაროს ელვის სისწრაფით მოედო ცნობა, რომ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი გახდა მოსკოველი ალა კუშნირი. 1965 წლის სექტემბერში იგი 16-პარტიიან მატჩში შეეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილს.

ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ, ისინი ბევრჯერ შეხვედრიან საჭადრაკო დაფასთანაც. უზუსტო ცნობებით მომავალ მეტოქეთა პარტიების საერთო ბალანსი ქართველი მოჭადრაკის სასარგებლოდაა. მათი ბოლო შეხვედრა — სსრ კავშირის 1964 წლის გუნდურ პირველობაზე — მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო.

აი, მსოფლიო ჩემპიონისა და პრეტენდენტის ერთ-ერთი შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათი. იგი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. ზარგარიანმა გადაიღო 1962 წლის მაისში თბილისის ქალთა საერთაშორისო ტურნირის დროს. მეტოქენი თამაშის დაწყების წინ ერთმანეთს ესალმებიან. ეს პარტია ნ. გაფრინდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. საინტერესოა რომ ა. კუშნირს ამ ტურნირში ერთი პარტია არ წაუგია და II ადგილი დაიკავა (ნ. გაფრინდაშვილის შემდეგ), რისთვისაც საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა.

წელი განვლილი, წელი მომავალი...

ახალი წლის დამდეგს წესადაა მიღებული ინტერვიუს აღება. გდრ-ის პრესის სააგენტომ 3 შეკითხვით მიმართა მსოფლიოს გამოჩენილ სპორტსმენებს, ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშების მედალოსნებს დონ შოლანდერს (აშშ), ენრიკე ფიგეროლას (კუბა) და კარინ ბალცერს (გდრ):

1. რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ტოკიოში?

2. 1964 წლის ოლიმპიური თამაშების რომელ სპორტულ მიღწევებს აფასებთ ყველაზე მაღლა და რატომ?

3. თქვენი მომავლის გეგმები.

აი, როგორი პასუხები გასცეს ამ ანკეტაზე:

დონ შოლანდერი

ოლიმპიური ოქროს 4 მედლის მფლობელი ცურვაში.

1. ტოკიოში პირადად მომილოცა ჯესი ოუენსმა. რასაკვირველია, ესაა ჩემი ყველაზე უფრო ამაღელვებელი მოგონება. გარდა ამისა, აღმაფრთოვანა იაპონელთა დამოკიდებულებამ თამაშებისადმი.

2. მინდა აღვნიშნო სამი ჩემი თანამემამულის, კერძოდ, ბილ მილსის, ელ ორტერისა და დიკ როტის გამოსვლები. ბოლო 200 მეტრზე მილსს ძალზე გაუჭირდა, მაგრამ მაინც შეძლო გამარჯვების მოპოვება 10 კილომეტრზე რბენაში. ორტერმა მოიგო შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში. თუმცა მას დაზიანებული ჰქონდა ხერხემალი. ძნელ მდგომარეობაში იყო როტი კომპლექსურ ცურვაში. შეჯიბრებამდე ორი დღით ადრე მან გადაიტანა ბრმა ნაწლავის მწვავე შეტევა. ოპერაცია თითქოს გარდუვალი იყო. საბედნიეროდ, ქირურგის ჩარევა აღარ შეიქნა საჭირო. მეორე დღეს როტმა ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, ხოლო კიდევ 24 საათის შემდეგ მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი, ამასთან დაამყარა ოლიმპიური რეკორდი.

3. იანვარში ვიწყებ სწავლას იელსის უნივერსიტეტში. იმედი მაქვს, რომ გავხდები არა მარტო კარგი მოცურავე, არამედ კარგი ექიმიც. თუ ჩემი სპორტული მიღწევები შესაბამისი იქნა სულ უფრო მზარდი მოთხოვნებისა, სიხარულით ავიღებ სტარტს მეხიკოში.

ენრიკე ფიგეროლა

მძლეოსანი, ტოკიოს თამაშების ვერცხლის მედალოსანი 100 მ რბენაში

1. ყველა ქვეყნისა და ხალხთა სპორტსმენების მეგობრობა ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება იყო, რომელიც სამშობლოში გამყვა და დიდ ხანს დამრჩება მეხსიერებაში. ვფიქრობ, ასეთივე შთამბეჭდავი იყო მაღალი სპორტული მაჩვენებლები და ოლიმპიადის საუცხოო ორგანიზაცია.

2. შეიძლება იმიტომ, რომ მე თვითონ სპრინტერი ვარ, ყველაზე უფრო მეტად ვაფასებ ამერიკელი მძლეოსნის ბობ ჰეიესის შესანიშნავ გამოსვლას, რომელმაც დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა 100 მ რბენაში. მაგრამ რახან ტოკიოს მიღწევებზე ვლაპარაკობთ, არ შემიძლია არ გავიხსენო ახალგაზრდა სპორტსმენი ქალის ბალცერის (გდრ) გამარჯვება 80 მეტრზე თარჯრბენში, ინგლისელი ლინ დევისის მოულოდნელი წარმატება სიგრძეზე ხტომაში, რომელმაც აჯობა უძლიერეს მეტოქეებსა და ფავორიტებს, და, ბოლოს, ეთიოპიელი მარათონელის — აბებე ბიკილას საოცარი გამარჯვება, რომელმაც პირველმა ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ორჯერ მოიგო ესოდენ დამქანცავი 42-კილომეტრიანი დისტანცია.

3. 16-17 დეკემბერს ჰავანაში გამართულ საერთაშორისო სპორტულ დღესასწაულზე გამოსვლის შემდეგ, სადაც 100 მ გავირბინე 10.2 წამში, ვაპირებ დავისვენო რამდენიმე თვით. შეჯიბრება, რომლისთვისაც საგანგებოდ მოვემზადები, ესაა ცენტრალური ამერიკის თამაშები, რომელიც 1966 წელს გაიმართება პუერტო-რიკოში და 1967 წლის პანამერიკული ჩემპიონატი. მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე მეხიკოში მე, ალბათ, ვერ მოვხვდები. იქ სტარტს აიღებს ჩემი თანამემამულე ჰერმეს რამირესი, რომელიც ჩემსავით დაიბადა და გაიზარდა ორიენტეს პროვინციაში და 16 წლის ასაკში 100 მეტრს გარბის 10,4 წამში. მე ახლა მას ვავარჯიშებ და იმედი მაქვს, რომ რამირესი მომავალი თამაშების ფავორიტი იქნება.

კარინ ბალცერი

მსოფლიოს რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი 80 მეტრზე თარჯრბენში

1. მომეწონა თამაშების შესანიშნავი ორგანიზაცია, მომსახურე პერსონალის დისციპლინა და საერთო-სახალხო ენთუზიაზმი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არ შეიძლება ქების გარეშე დავტოვო მაყურებლები, რომლებიც ტაშს უკრავდნენ ყველა სპორტსმენს, რომელმაც მიაღწია მაღალ წარმატებებს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელი იყო იგი.

2. განსაკუთრებული დაფასების ღირსია, ჩემის აზრით, ქალების საუცხოო შედეგები სიგრძეზე ხტომაში. მერი რენდმა არახელსაყრელ პირობებში შეძლო ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარება.

3. ჩემი სპორტული მიზნებია — ევროპის 1966 წლის ჩემპიონატი და მეხიკოს ოლიმპიური თამაშები. პროფესიული კარიერის თვალსაზრისით ამოცანად მაქვს დასახული მივიღო დიპლომი წარჩინებით მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში. მაქვს კიდევ ერთი ამოცანა! არ მივიღო რაიმე ტრავმა ახალ წელს. ტრავმა ხომ უბედურებაა სპორტსმენისთვის. სიხარულით ველი ახალ შეხვედრებს.

თასის გათამაშების ახალ ეტაპზე

Დამთავრდა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ეტაპი — შეხვედრები ქვეჯგუფებში. მოგვყავს უკანასკნელი მატჩების შედეგები.

ვაჟები

ჰალე. აქ გაიმართა მესამე დამატებითი მატჩი ადგილობრივ „ჰემისა" (გდრ) და ავსტრიის „ჰენდელსმინისტერიუმს" შორის. როგორც ცნობილია, პირველმა ორმა შეხვედრამ უძლიერესი ვერ გამოავლინა. გადამწყვეტ ბრძოლაში გაიმარჯვეს გერმანელებმა — 76:63.

პარიზი. საფრანგეთის ჩემპიონმა „ვილორბანმა" დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ინგლისის იმკა — 74:66.

ათენი. განმეორებით მატჩში საბერძნეთის აეკ-მა მოუგო ისრაელის ჩემპიონს „მაკაბის" — 64:53.

სტოკჰოლმი. შვეციის „ალვიკსისა" და ჰოლანდიის „ვალვესის" შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა — 73:65.

ქალები

ბელგრადი. შედგა ადგილობრივი „რადნიჩკისა" და გფრ-ის ჩემპიონის „აუგსბურგის" მატჩ-რევანში. ისევე როგორც პირველ შეხვედრაში (101:61), ამჯერადაც დიდი ანგარიშით — 106:53 გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა.

* * *

Კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მოაწყო ვაჟთა მერვედფინალური და ქალთა მეოთხედფინალური მატჩების კენჭისყრა. აი, მისი შედეგები:

ვაჟები

„ჰელსინკი" (ფინეთი) — „რეალ-მადრიდი" (ესპანეთი), „იპროტაფელაგი" (ისლანდია) — „ვილორბანი" (საფრანგეთი), „ჰონვედი" (უნგრეთი) — „იგნისი" (იტალია), „ანტვერპსე" (ბელგია) — აეკ (საბერძნეთი), „ალვიკსი" (შვეცია) — „ბეოგრადი" ([illegible]) [illegible] (გდრ) — „სპარტაკი" (ჩეხოსლოვაკია), „ლოკომოტივი" ([illegible]) — „ვისლა" (პოლონეთი). სსრ კავშირის ჩემპიონი — ცსკა პირდაპირ მეოთხედფინალშია დაშვებული.

ქალები

მტკ (უნგრეთი) — ტტტ (სსრ კავშირი), „ლე გერბი" (ბელგია) — „ვისლა" (პოლონეთი), „ბლიუ სტარსი" (ჰოლანდია) — „სლავია" (ბულგარეთი), „რადნიჩკი" (იუგოსლავია) — „სლოვან ორბისი" (ჩეხოსლოვაკია).

საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, პირველი შეხვედრები უნდა დამთავრდეს 10 იანვრამდე, ხოლო მატჩ-რევანშები — 17 იანვრამდე.



ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ჩემპიონთა წინაპრები

Რამდენი რამის თქმა შეუძლია ძველ ფოტოსურათს: გაყვითლებულს, ქამნახულს, ოთხი ათეული წლის წინანდელი ფაქტების უტყუარ მოამბეს. იგი ნაწილია ისტორიისა.

ჩვენს მიერ მოყვანილი ფოტოსურათიც ისტორიის ასეთივე ნაწილია. იგი ასახავს სსრ კავშირის დღევანდელი ჩემპიონის — თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უპირველეს სათავეებს, რომლებმაც არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთში საყოველთაოდ ცნობილ თბილისის გუნდს ჩაუყარა საფუძველი.

...1925 წელი იყო. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოყალიბდა ახალი გუნდი, რომელსაც „დინამო" ეწოდა. დასაწყისში მას დიდი პრეტენზიები არ ჰქონდა: საქალაქო პირველობაზე კოლექტივი ჩაირიცხა II ჯგუფში, იბრძოდა თავის მეტოქეთა წინააღმდეგ და გაიმარჯვა. მომავალი წლისთვის გუნდი უკვე I ჯგუფის წევრი იყო.

ეს ჩვეულებრივი ამბავია. II ჯგუფში ვიღაც ყოველთვის იმარჯვებს ხოლმე, მაგრამ თბილისის „დინამოს" ახალგაზრდა მოთამაშეებს დიდი პოტენცია და მდიდარი შესაძლებლობანი აღმოაჩნდათ. სულ მცირე ხანი გავიდა მისი შექმნიდან, გუნდში მოვიდნენ ახალი ფეხბურთელებიც და დინამოელები უკვე ამიერკავკასიის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს წარმოადგენდნენ. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ იმ დროის უძლიერესი, შესანიშნავი მოთამაშეები.

ჩვენს სურათზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოს" გუნდი 1926 წელს, როცა იგი ბაქოში იყო ჩასული მატჩის ჩასატარებლად ადგილობრივ ფეხბურთელებთან. მარცხნიდან პირველია მეკარე დ. ცომაია, ამჟამად სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში. მის შემდეგ დგანან დ. ქსენოფონტოვი, ნ. ბლანკმანი, ვ. შებოლდაევი. მომდევნო ფეხბურთელი შეიძლება იცნოთ კიდეც: ესაა წარსულში შესანიშნავი მოთამაშე, შემდგომში გამოჩენილი მწვრთნელი, ქართული ფეხბურთის დიდი მოამაგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ჟორდანია. მას მოსდევენ გ. თედევი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გალპერინი, პ. გალდობინი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. გონელი და ვ. ამბოკაძე.

აი, ესაა სულ. უბრალო სურათია, მაგრამ რაოდენ მეტყველი და ღირსშესანიშნავია იგი.

ხსოვნა და მისი შეურაცხყოფა

იუნაიტედ პრესის სააგენტომ გადმოსცა ცნობა იმის შესახებ, რომ ახალი წლიდან კოლორადოს ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალს „სტორმ მაუნტენს" („გრიგალთა მთა") დაერქმევა გამოჩენილი ამერიკელი სამთო-მოთხილამურის ვერნერის სახელი, რომელიც 1963 წლის გაზაფხულზე დაიღუპა ალპებში. იმ დროს, როცა სპორტის მოყვარულებს სურთ პატივი სცენ ბად ვერნერის სახელს, ზოგიერთი საქმოსანი ცდილობს ყოველნაირად მიაფუჩეჩოს საქმე, რომელიც წამოიწყო ამერიკელი სამთო-მოთხილამურისა და მისი პარტნიორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენი ქალის ბერბი ჰენებერგერის სიკვდილის შემდეგ.

განვლილი წლის დასაწყისში ვერნერმა და ჰენებერგერმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს დასავლეთ გერმანიის კინემატოგრაფიული ფირმის მფლობელ ვილი ბოგნერთან, რომელიც ოდესღაც საუკეთესო სამთო-მოთხილამურე იყო, ხოლო ამჟამად რიგითი საქმოსანია. თუმცა პროგნოზი გრიგალს იუწყებოდა, ბოგნერმა მოითხოვა დაეწყოთ გადაღება ერთ-ერთ ყველაზე ძალიან დაქანებულ ფერდობზე. ბადი და ბერბი დაიღუპნენ თოვლის ზვავის ქვეშ, მაგრამ ბოგნერს, მათი სიკვდილის უშუალო დამნაშავეს, წაუყენეს ბრალდება მხოლოდ „წინასწარ განუზრახველ მკვლელობაში", ხოლო სასამართლოზე იგი სულაც გაამართლეს. დაღუპულის ხსოვნის უტიფარი შეურაცხყოფაა ვ. ბოგნერის განცხადება, რომ მას განზრახული აქვს ვერნერის მთაზე წასვლა, რათა იქ თავისი ახალი ფილმი გადაიღოს.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 5 იანვარს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04603